ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

ზვიადი მამალაძე

მივესალმები საკრებულოს წევრებს, გამგეობის წარმომადგენლებს და მოწვეულ სტუმრებს. მადლობას მოგახსენებთ გამგეობის თანამშრომლებსა და საკრებულოს წევრებს იმ მუშაობისთვის, რაც ბიუჯეტისნ პროექტის შედგენისას გაწიეს. 2016 წლის ბიუჯეტი 1 მილიონით გაიზარდა, რომელიც ისევ ჩვენს მუნიციპალიტეტს მოხმარდება კარგი საქმეების კეთებაში. ბიუჯეტის გაზრდა 1 მილიონით ადვილი საქმე არ არის. მე მივმართავ გამგეობის სამსახურებს თხოვნით, რომ გააქტიურდნენ და ორიენტირებულნი იყვნენ იმ ბიუჯეტის შევსებაზე, რომელსაც ჩვენ დღეს განვიხილავთ და დავამტკიცებთ. მადლობა მათ ასევე იმისთვისაც, რომ საკრებულოს კომისიებიდან და ფრაქციებიდან გაგზავნილი რეალური შენიშვნები გათვალისწინებული იქნა. ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ სახელით და არა მარტო ჩვენი, საკრებულოს და გამგეობასაც გვაქვს იდეა ჩატარდეს კონკურსი, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი დაბის ქუჩები და მუნიციპალიტეტის ცენტრი, ფასადები და ა.შ. დაახლოებით 5 000 ლარი იქნება გამოყოფილი ამისთვის და კონკურსის გამარჯვების შემდეგ თუ იქნება საჭიროება თანხების მოსაპოვებლად, დავიწყოთ მუშაობა იანვრის თვიდან.

ჩემი ფრაქციის წევრებს ვუხდი დიდ მადლობას მხარდაჭერისთვის, გვერდში დგომისთვის და იმ სამუშაოსთვის, რომელიც ერთობლივი მუშაობით შევძელით.

ჩვენ მხარი დავუჭირეთ ფრაქციის სახელით იმ ა(ა).ი.პ-ების შექმნას, რომელიც დღეს საკრებულოს სხდომაზე იყო წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სახით, რომელსაც მხარი არ დაუჭირა ჩვენი ფრაქციის ერთ- ერთმა წევრმა დავით შარაშიძემ, რომელსაც აქვს უამრავი შეკითხვა და პასუხი ჩემგან არც აინტერესებს, არც ფრაქციის სხდომებს ესწრება.

ბატონო დავით! თქვენ ფიქრობთ მისცეთ თუ არა ხმა წარმოდგენილ ბიუჯეტს, რომელიც თქვენი პასუხისმგებლობაც არის, თუ როგორი იქნება მომავალი წლის ბიუჯეტი, რა გაკეთდება და როგორ მოხმარდება ჩვენს მუნიციპალიტეტს. ამ საკითხის მიმართ გაქვთ თქვენეული მიდგომა, რაც გადის გუნდურობის ფარგლებიდან და რაზეც ჩვენ ყველას ერთობლივად პრეტენზია გაგვაჩნია.

თქვენ ისაუბრეთ იმ თემაზეც, რომ ამ ბოლო დროს თურმე მოდაშია ჩვენს მუნიციპალიტეტში ფრაქცია ,, ქართულ ოცნებასთან“ დაპირისპირებული ადამიანების დანიშვნები და ა.შ.

გთხოვთ, დაასახელოთ ის ადამიანები, ვინც მხედველობაში გყავთ, რა თქმა უნდა ა(ა).ი.პ თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეის ხელმძღვანელზე ჯერ ვერაფერს ისაუბრებთ, რადგან ეს გადაწყვეტილი თემა არ არის ჯერ, გთხოვთ, თუ მართლაც ასე თვლით, დაგვისახელოთ ეს პიროვნებები.

მე, მზად ვარ ყოველთვის თქვენთან თანამშრომლობისთვის და ერთად გადავჭრათ ეს პრობლემა, მიუხედავად იმისა რომ, თქვენ ჩემი ფრაქციის სხდომებს არ ესწრებით.

რაც შეეხება ,,უპოვართა სახლის“ გახსნას, ვითომ და ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამის, მოგიტანიათ პროექტი და ჩვენგან უარი მიგიღიათ? იქნებ აგვიხსნათ.

ზაალ მამალაძე: ნებისმიერი პროექტი დასრულებული ფორმით, თუკი შემოდის საკრებულოს თავმჯდომარესთან ელექტრონული ფორმით, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ დადებითი რეაქცია არ მქონდეს და მაშინვე არ ვიწყებდე მუშაობას. ერთ მაგალითსაც ვერ დაასახელებს ვინმე, რომ კარგი წინადადებით მოემართოს ჩემთვის და მე იმის მიმართ დადებითი რეაქცია არ მქონოდეს და იმ დღესვე არ დამეწყოს მუშაობა ამავე საკითხზე.

მოგვაწოდეთ პროექტი სრული სახით, რომ დავიწყოთ ამ საკითხზე მუშაობა.

დავით შარაშიძე: რაც შეეხება იმ საკითხს, რომ მე არ ვესწრები თქვენი ფრაქციის სხდომებს, ინფორმირებული არ ვიყავი , რომ თქვენ 10 საათზე გქონდათ დანიშნული სხდომა და შესაბამისად ვერ მოხერხდა ჩემი მოსვლაც სხდომისთვის, ვგულისხმობ ბოლო სხდომას.

როცა გთხოვეთ, რომ ამ სხდომაზე მოგეწვიათ შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების კომისიის თავმჯდომარეზე პრეტენზია, თქვენ მიპასუხეთ, რომ ,,ის ჩემი მეგობარია“ და ამ პრეტენზიას ჩემგან ვერ მიიღებდით. რა შუაშია მეგობარი და ნათესავი, როცა საქმე არ კეთდება სწორად.